ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-124

ქ. თბილისი

09 სექტემბერი 2022 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **ბერიკა შუკაკიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მიმწოდებელი: ააიპ „დედები სიცოცხლისათვის", წარმოდგენილი დირექტორის **ლეილა სეფერთელაძის** სახით;
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ყაზბეგის ქ. №5/7,ბ. № 10;
საიდენტიფიკაციო კოდი: 445505702;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი", კოდი:TBCBGE22, ა/ა:GE58 TB73 6503 6080 1000 06

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, **NAT220016635** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) შედეგად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.

1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სასტუმრო, საკონფერენციო და სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა, რომლის დეტალური მახასიათებლებლები მოცემულია ხელშეკრულების მე-4 მუხლში, *დანართში №1-ში და დანართში №2-ში* ***(CPV:55110000 - სასტუმროში დაბინავების მომსახურება, 55120000 - სასტუმროში შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება, 55130000 - სასტუმროსთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები)***

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **52 958,40** (ორმოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1-ში და დანართში №2-ში;

3.4. დაფინანსების წყარო: ***სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდი: 32 06 04).***

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი და დეტალური ინფორმაცია

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას;

4.2 მომსახურება გაწეული უნდა იქნეს 60 პერსონაზე (ორ ეტაპად), (თითოეულ ეტაპი/ნაკადი მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს 30 პერსონაზე);

4.3 მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ერთდროულად 30 პერსონაზე სასტუმროში განთავსება, საკონფერენციო დარბაზი და სატრანსპორტო მომსახურება სკოლებში;

4.4 მაქსიმუმ 30 ადამიანი არაუმეტეს ორსაწოლიან ნომრებში განთავსება (არ განიხილება გასაშლელი საწოლები);

4.5 სასტუმრო ნომრები აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური სველი წერტილებით, ცივი და ცხელი წყლით (24 საათი), გათბობა-კონდიცირების გამართული სისტემით (24 საათი), ფანჯრებით. ნომრებში

გასაშლელი საწოლები არ იგულისხმება. ოთახებში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები და უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობის პირველადი ჰიგიენის პროდუქტები (საპონი, შამპუნი, დასაბანი გელი და სხვა);

4.6 ნომრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასმელი წყლით ბოთლებში: სასტუმროს 1 (ერთი) ბინადარზე არანაკლებ 1 (ერთი) ლიტრი. სასტუმროს პერსონალმა უნდა უზრუნველყოს სტუმრების ტვირთის მათ კუთვნილ ოთახებამდე და ნომრიდან სასტრანსპორტო საშუალებამდე მიტანა, ასევე მისი შემდგომი უსაფრთხოება;

4.7 ინტერნეტის მუდმივი მომსახურება - WI-FI ქსელი არანაკლებ 1 მგ/წმ ყველა ოთახში, ასევე ინტერნეტის მინიმალური სიჩქარე 1(ერთი) მგბ/წმ, Wifi როუტერი უნდა იყოს განლაგებული ყველა სართულზე;

4.8 საჭიროების შემთხვევაში სტუმრისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ერთ ადგილიანი ნომერი;

4.9 სასტუმროში განთავსებული უნდა იყოს 1 საკონფერენციო დარბაზი 50 პერსონაზე, დარბაზი უზუნველყოფილი/აღჭურვილი უნდა იყოს შემდეგი ინვენტარით - პროექტორით, ლეპტოპით/კომპიუტერით, ეკრანით და ინტერნეტით. აგრეთვე, საკანცელარიო რესურსით: ფლიპ-ჩარტის დაფა - 1 ცალი; ფლიპ-ჩარტის ქაღალდი (მინიმუმ 20 ფურცლიანი შეკვრა) – 1 ცალი; დაფის მარკერი (შავი, ლურჯი, წითელი) – 9 ცალი;

4.10 იმ შემთხვევაში თუ სტუმრებს ოთახებამდე გასავლელი აქვთ ერთ სართულზე მეტი, სასტუმროში უნდა იყოს ლიფტი

4.11 საკონფერენციო დარბაზი არ უნდა იყოს სარდაფში ან ნახევრად სარდაფში;

4.12 მომსახურება მოიცავს აგრეთვე ტრენინგის მონაწილეთა (30 პერსონა) ტრანსპორტირებას (2 ეტაპი) სასტუმროდან მასპინძელ სკოლებამდე და უკან სასტუმროში შემდეგნაირად: ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სასტუმროდან მასპინძელ სკოლებში 2022 წლის 17, 18, 19, 20, 21 ოქტომბერი 08:30-09:30 საათამდე და სკოლებიდან სასტუმროში - 14:30-15:30 სთ-მდე და 2022 წლის 14, 15, 16, 17, 18 ნოემბერი 08:30-09:30 საათამდე სკოლებში და სკოლებიდან სასტუმროში- 14:30-15:30 სთ-მდე;

4.13 სკოლების ჩამონათვალი:

4.13.1 სსიპ - ქალაქ თბილისის №60 საჯარო სკოლა, ვაკე-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზ. №39;

4.13.2 სსიპ - ქალაქ თბილისის №182 საჯარო სკოლა, ისანი-სამგორი, ზემო პლატო, II მ/რ;

4.13.3 სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლა, ისანი-სამგორი, შუამთის ქ. №20;

4.13.4 სსიპ - ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლა, დიდუბე-ჩუღურეთი, დიღმის მას. IV კვ.;

4.13.5 სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა, ვაკე -საბურთალო, შარტავას ქ.№20

4.13.6 სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა, ისანი-სამგორი, ქეთევან წამებულის ქ. №90-ა;

4.13.7 სსიპ - ქალაქ თბილისის №67 საჯარო სკოლა, ძველი თბილისი, ლესელიძის ქ.№25ლ;

4.13.8 სსიპ - ქალაქ თბილისის №45 საჯარო სკოლა, გლდანი- ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილს N 25;

4.13.9 სსიპ -ქალაქ თბილისის 150 საჯარო სკოლა, ძველი თბილისი, ო. დგებუაძის ქ. N8.

4.14 ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მსუბუქი ავტომობილით ან მინივენით, ტრანსპორტირების დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ყველა ნორმა, მგზავრების ტრანსპორტირების ტერიტორიის ან დროის ცვლილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეცნობება წინასწარ;

4.15 მომსახურება მოიცავს აგრეთვე ტრენინგის მონაწილეთა სამჯერად კვებას, შემდეგნაირად:

4.15 საუზმე:

- რძის ნაწარმი (არანაკლებ 3 სახეობის);
- ძეხვეულის ასორტი
- ცხელი კერძი (არანაკლებ 1 სახეობის);
- გარნირი (არანაკლებ 1 სახეობის);
- პურ-ფუნთუშეული (არანაკლებ 2 სახეობის);
- სასმელი (ჩაი, ყავა, წვენი შეუზღუდავი რაოდენობით);
- ნამცხვარი (არანაკლებ 2 სახეობის: 1 კრემიანი, 1 არაკრემიანი. პეჩენია არ განიხილება) მურაბა, ჯემი;
- ლიმონი.

4.16 სადილი:

- წვნიანი (არანაკლებ 1 სახეობის);
- გარნირი;
- რძის ნაწარმი (არანაკლებ 2 სახეობის);
- ცხელი კერძი (არანაკლებ 2 სახეობის);
- ცომეული (არანაკლებ 2 სახეობის);
- სალათი (არანაკლებ 2 სახეობის);
- სასმელი (ჩაი, ყავა, წვენი, გაზიანი არაალკოჰოლური სასმელი, მინერალური წყალი შეუზღუდავი რაოდენობით);
- ხილის ასორტი (სეზონური).

4.17 ვახშამი:

- ძეხვეულის ასორტი;
- გარნირი;
- ცხელი კერძი (არანაკლებ 2 სახეობის);
- სალათი (არანაკლებ 2 სახეობის);
- ცომეული (არანაკლებ 2 სახეობის);
- რძის ნაწარმი (არანაკლებ 3 სახეობის);
- ნამცხვარი (არანაკლებ 2 სახეობის: 1 კრემიანი, 1 არაკრემიანი პეჩენია არ განიხილება);
- მურაბა ჯემი;
- სასმელი (ჩაი, ყავა, წვენი, გაზიანი არაალკოჰოლური სასმელი, მინერალური წყალი შეუზღუდავი რაოდენობით).

4.18 ყავა-ჩაის შესვენება (Coffee Break):

- ხსნადი ყავა;
- რძე;
- ერთჯერადი ჩაი (შავი, მწვანე);
- შაქარი, შეუზღუდავი რაოდენობით;
- ნამცხვარი (არანაკლებ 3 სახეობის, კრემიანი, ბისკვიტი. (ორცხობილა არ განიხილება) წვენი;
- ლიმონი.

4.19 ყავა/ ჩაის შესვნებით სტუმრებმა უნდა ისარგებლონ საკონფერენციო ოთახში; (საკვები პროდუქტი უნდა იყოს ახალი)

4.7 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. გასაწევი მომსახურების ვადა და ადგილი

5.1 მომსახურება განხორციელდება შემდეგნაირად: მომსახურება უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად, პირველი ეტაპი განხორციელდება 2022 წლის 16-22 ოქტომბერს და მეორე ეტაპი 2022 წლის 13 -19 ნოემბერს;

5.2 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, სასტუმრო „ბასა ბუტიკ ჰოტელი", მისამართი: ბროწეულის ქ. .25.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება გაფორმდება ერთიანად შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი თეონა ხოსიტაშვილი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო გადახდა არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 ხარისხიანად და კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს და მგზავრს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულები-საგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის“ წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი თინიკო ორველაშვილი, რომელიც დაწერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი

შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან შტამპი;

16.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	ააიპ „დედები სიცოცხლისათვის“
ბერიკა შუკაკიძე დირექტორი	**ლეილა სეფერთელაძე** დირექტორი

დანართი N1

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობა	დღეების/ღამეების რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სასტუმროს ნომრით მომსახურება, 2022 წლის 16-22 ოქტომბერი				
1.1	ერთადგილიანი ნომერი	30	6	0.00	0.00
1.2	ორადგილიანი ნომერი			29.50	5310.00
				ჯამი:	5310.00
	*შენიშვნა: *ერთეულის ფასში მოიაზრება ნომერში ერთი კაცის დაბინავების ღირებულება*				
2	საკონფერენციო, სატრენინგო და სამუშაო ოთახის დაქირავება 2022 წლის 16-21 ოქტომბერი				
2.1	საკონფერენციო დარბაზი	1	6	826.00	4956.00
				ჯამი:	4956.00
3	კვებითი მომსახურება 2022 წლის 16-22 ოქტომბერი				
3.1	საუზმე	30	6	11.80	2124.00
3.2	სადილი	30	6	23.60	4248.00
3.3	ვახშამი	30	6	23.60	4248.00
3.4	ყავის შესვენება	228		5.90	1345.20
				ჯამი:	11965.20
4	ტრანსპორტირება 2022 წლის 17, 18, 19, 20, 21 ოქტომბერი				

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის 60 საჯარო სკოლამდე (ვაკე-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზ. N 39) და უკან	5	94.40	472.00
2	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №182 საჯარო სკოლამდე და უკან. ისანი-სამგორი, ზემო პლატო, II მ/რ		94.40	472.00
3	სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლა ისანი-სამგორი, შუამთის ქ. №20		94.40	472.00
4	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლამდე და უკან დიდუბე-ჩუღურეთი, დიღმის მას. IV კვ.		94.40	472.00
5	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლამდე და უკან ვაკე -საბურთალო, შარტავას ქ.№20		94.40	472.00
6	სასტუმროდან სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლამდე და უკან ისანი-სამგორი, ქეთევან წამებულის ქ. №90-ა		94.40	472.00
7	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №67 საჯარო სკოლამდე უკან ძველი თბილისი, ლესელიძის ქ.№25		94.40	472.00
8	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №45 საჯარო სკოლამდე და უკან გლდანი- ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილს # 25		94.40	472.00
9	სსიპ -ქალაქ თბილისის 150 საჯარო სკოლამდე და უკან ძველი თბილისი, ო. დგებუაძის ქ. N8		94.40	472.00
			ჯამი:	4248.00
			სულ:	26479.20

დანართი N2

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობა	დღეების/ღამეების რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სასტუმროს ნომრით მომსახურება, 2022 წლის 13 -19 ნოემბერი				
1.1	ერთადგილიანი ნომერი	30	6	0.00	0.00
1.2	ორადგილიანი ნომერი			29.50	5310.00
				ჯამი:	5310.00
	*შენიშვნა: *ერთეულის ფასში მოიაზრება ნომერში ერთი კაცის დაბინავების ღირებულება*				
2	საკონფერენციო, სატრენინგო და სამუშაო ოთახის დაქირავება 2022 წლის 13 -18 ნოემბერი				
2.1	საკონფერენციო დარბაზი	1	6	826.00	4956.00
				ჯამი:	4956.00
3	კვებითი მომსახურება 2022 წლის 13 -19 ნოემბერი				
3.1	საუზმე	30	6	11.80	2124.00
3.2	სადილი	30	6	23.60	4248.00
3.3	ვახშამი	30	6	23.60	4248.00
3.4	ყავის შესვენება	228		5.90	1345.20
				ჯამი:	11965.20
4	ტრანსპორტირება 2022 წლის 14, 15, 16, 17, 18 ნოემბერი				
N	დასახელება		რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის 60 საჯარო სკოლამდე (ვაკე-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზ. N 39) და უკან		5	94.40	472.00
2	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №182 საჯარო სკოლამდე და უკან. ისანი-სამგორი, ზემო პლატო, II მ/რ			94.40	472.00
3	სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლა ისანი-სამგორი, შუამთის ქ. №20			94.40	472.00
4	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლამდე და უკან დიდუბე-ჩუღურეთი, დიღმის მას. IV კვ.			94.40	472.00
5	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლამდე და უკან ვაკე -საბურთალო, შარტავას ქ.№20			94.40	472.00
6	სასტუმროდან სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლამდე და უკან ისანი-სამგორი, ქეთევან წამებულის ქ. №90-ა			94.40	472.00
7	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №67 საჯარო სკოლამდე უკან ძველი თბილისი, ლესელიძის ქ.№25			94.40	472.00
8	სასტუმროდან სსიპ - ქალაქ თბილისის №45 საჯარო სკოლამდე და უკან გლდანი- ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილს # 25			94.40	472.00
9	სსიპ -ქალაქ თბილისის 150 საჯარო სკოლამდე და უკან ძველი თბილისი, ო. დგებუაძის ქ. N8			94.40	472.00
				ჯამი:	4248.00
				სულ:	26479.20

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ 2022 წლის 09 სექტემბერს გაფორმებული **№01-03-124** ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი

თეონა ხოსიტაშვილი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი

თინიკო ორველაშვილი

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი

ნიკო გიგოლაშვილი

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი

როსტომ თოლორდავა

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი

ია ძებისაური

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

დავით ხვედელიძე

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბერიკა შუკაკიძე